

1955

ერთობლივი  
გიგანტისაცავი




ნახ. გ. ლომიძესა

გარსი—ჩაღას ვაყოვნებთ, დაგვაგვიანდება დედამიწის დაბადების დღეზე...  
ვენერა—სჯობს იარაღი აიხსნა, ტუილადა გაქვს შენი იქაური ამფსონების იმედი: დედამიწაზე ახლა იმდენი  
მშვიდობისმოყვარეა, რომ ასე ადვილად ვეღარ შეიძარები.


ოუბუ

№ 24 გამოცემლობა „კომისიონი“ წელი XXXIII განხ 2 გვ. თაღილის დაწესები 1955



— არ ვარგა, ხელახლა შემოდი!

## საახალცლო ბუნებურთებურთი



ახალი წელი მოვიდა,  
ძველიც არ იყო ურიგო,  
რა დაშავდება ზოგიერთს —  
წეიბურტი ჩამოვურიგო.

### მოდების ათელიეს

თუ სჭრი, კიდევაც შეპერე,  
სხეგა რა საქმეში გვჭირდები,  
პალტოს ზამთარში იცვამენ,  
შენ ზაფხულისთვის გვპირდები.



### საჩეკლამო ბიუროს

წერეთ, რამდენიც გენებოთ,  
იმ თქვენი ფუნჯის ლხენასა,  
ერთს გთხოვთ — წერის დროს დაფიქრდით,  
ნუ გვიმახინჯებთ ენასა.



### ვაჭრობის სამინისტროს

გაღაზიებში გამოგაქვთ  
კვლავ საზაფხულო ჩითები,  
დიდი ხანია გაფრინდნენ  
სამხრეთისაკენ ჩიტები.



### საბინაო სამართველოს

ზაფხულში თავს არ იწუხებთ  
სახურავების მოვლითა,  
გეშველათ — იქნებ ზამთარმა.  
სახლი დახუროს თოვლითა



ამას იმიტომ კი არ ვწერთ,  
თქვენი სახელი შელახოს.  
გასულ წელს რაც რომ შესცოდეთ,  
ამ წელში აღარ გვენახოს.

— სიმარტი

ახალწლის წინადღებში მიყვარს ოჯახში დატრიალება, მასპინძლური თადარიგი და მზადება, საახალწლო ნაძვის ხის მორთვა და მოკაზმეა, გოზინაყისათვის საჭირო ნიგვზის დაჭრა და მოშუშვა. ამ წელსაც ჩვეულებისამებრ თადარიგს შევუდექი, მაგრამ მოულოდნელად ნიანგმა საახალწლო მილოცვისათვის თბილისის წარმოება-დაწესებულებებში მეკვლეობაზე ხელი ავილე და სანუგეშებლად ჩემთვის, ჩავილაპარაკე: ქუთაისში წავალ... ბათუმში მივულოცავ... ცხაკიას ვესტუმრები, ფოთს ვინახულებ, შეიძლება იქაც ასევე ჩამივარდეს კოვზი ნაცარში, მაგრამ დედაქალაქიდან ჩასულს მაინც სხვანაირი დაფასება ექნება მეკვლეს...

— მაგრამ უცილენად ქარხანაში ამოვყავ თავი. — შემოვდგი ფეხი... სალამი, ძვირფასო აშანავებო!

— გამარჯობათ... მობრძანდით... კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს ქარხანაში... — მესმოდა აქეთ-იქიდან და შემოვებებული ამხანავები რიგრიგობით მარომევდნენ ხელს.

— ლევან გოქაძე — მღარავი... სიმონ ნიკულინი — ზეინჯალი... გელაძე პეტროსიანი — მრანდავი... ზაქრო აბრამიშვილი — ზეინჯალი... ვართან ამირგულოვი — ხარატი...

— გილოცავთ ამხანავებო, 1955 წ. სამაგალითო შრომითი მიღწევებით დამთავრებას, კიდევ და კიდევ გამარჯვებას გისურებთ ახალ 1956 წლის საწარმოო გეგმების შესრულ...

— ბოლიში, ამხანავო, განა არ იცით, რომ ჩვენ 1955 წელს დიდი ხანია, რაც ხელი ჩამოვაროთვით!

— მაშ მე მოსვლა დამიგვიანდა?

— სწორედ რომ ასეა: ამხანავი სიმონ ნიკულინი 1966 წლის ანგარიში მუშაობს, გელაძე პეტროსიანი 1965 წლისაში, ზაქრო აბრამიშვილმა და ვართან ამირგულოვმა 1964 წელს დაუკავნეს კარებზე და მეც 1968 წელთან კარგა ხანია გავასწორე ანგარიში... — სიმონ გოქაძემ ლიმილით თავი დამიქნია, დირექტორის კაბინეტის კარები შეაღო და შემიპატიუა.

მოულოდნელი ამბით იხტიბარწამხდარმა მეკვლემ თოახში შესვლაზე უარი განვაცადე. კიდევ სხვა მრავალ წარმოება-დაწესებულებებში ვარ მისასვლელი-მეთქი, მოვიმიზებე და თავდალმართზე დავვეშვი.

სიმართლე გითხრათ, დიდად იმოქმედა აღნიშნულმა შემთხვევამ ჩემს მეკვლეობის სურვილზე, ხასიათი წამიხდა, სურვილი გამინახევრდა, და სიარულის იშტაც საგრძნობლად შემიცირდა... მიხვალ კიდევ ამ ჩვენი საყვარელი დედაქალაქის რომელიმე ქარხანაში, რომელიმე ფაბრიკაში, მიულოცავ ახალ 1956 წელს და სამაგიროდ გიპასუხე-

ბენ, რომ 1956 წელს კი არა 1970-75 წლის შრომის გამარჯვებებს დღესასწაულობენ...

ყოველივე ამ მიზეზის გამო თბილისის წარმოება-დაწესებულებების მეკვლეობაზე ხელი ავილე და სანუგეშებლად ჩემთვის, ჩავილაპარაკე: ქუთაისში წავალ... ბათუმში მივულოცავ... ცხაკიას ვესტუმრები, ფოთს ვინახულებ, შეიძლება იქაც ასევე ჩამივარდეს კოვზი ნაცარში, მაგრამ დედაქალაქიდან ჩასულს მაინც სხვანაირი დაფასება ექნება მეკვლეს...

მაგრამ უცილენად ვილაცის დაბოხებული ხმა შემომესმა:

— ქუთაისის შუშა-ტარის ქარხანას ჯერ ჩემთანაც კი არ გაუსწორებია ანგარიში, რა პირით უნდა შეხვდეს ახალ წელს, ცხაკიას კირის ქარხანას დღე-

საც კისერზე ადევს ტექმი ფალი... მაგრამ ამ თუმის ფანერის ქარხანა ჯერ ისევ ჩემი ვალების გადახდაშია, ხოლო ტრესტიაქთებულებისა მუშაობით ბევრ დაუჭერელ წვერისა და სტავრიდას მიულოცა ახალი წელი.

— კი მაგრამ, შენ ვინა ხარ?

— ვინა ვარ და 1955 წელი.

— კიდევ სული გიდგას?

— ჩამოთვლილ წარმოებებში თუ ასე განაგრძეს მუშაობა, ალბათ, კიდევ კარგა ხანს მედგმება სული... მათვის.

რაიონში მეკვლედ წასვლაზეც ხელი ავიღე, საკუთარ სახლში დაბრუნებულმა ოთახის კარები გავაღე და ჩემი ოჯახის წევრებს ახალი 1956 წელი მიულოცე.

### 3. კახელიშვილი

#### ნაკისი რეის იმერით

— წლევანდელი ახალი წელი ძალიან გახარებს.


— დაწინაურებას ხომ არ გიპირებენ?

— არა, კაცი, ერთი დღით შემთხვევაში გასულ წელზე და იქნებ გეგმა როგორმე შევასრულო.



66

გამოცხადება



— მურმანი, იყალდეთ, ამ კომუნაში მი-  
მარებ დაწესებულებებს, თავს მოკიდავ და ჩა-  
ასც გადავარჩენი.



— კიავეულით არა არა, ამა გვალი  
სუსალით არა არა და გამოიტანა, არა და  
არა ფერით არა არა და სუსალი?

— სკოლით ხელი მიღების გვალით  
ჩის მიმდევარი ხელი მიღების გვალით  
და მარც გვალით გვალით თავს.



— მე მეტებ თების მარცხნიშვილი წევ  
გვაძლი, ამ გამოხატვის მარცხნიშვილი წევ  
(და უკავებ წევ) წევ გვაძლი. კომისიონის  
ასე და დამატებული ას სეჭიში, რომ სასწავლა  
მათ მიმდევარი ჩამოატარება, მომარისებრი  
კომისიონის გადაღვისაც გრძელდება მასში და  
საბოლოოდ საბოლოოდ მიმდევარის გადაღვისაც.




ასამისური ვისოდებული  
მოსამართის ახლო  
სასახლით მიმდევარი.


1



— რა არა და რა არა მარცხნიშვილი  
მათი მიმდევარი და მარცხნიშვილი?  
— მარცხნიშვილის მიმდევარი ისე სისტემაზე დატენდი-  
რებული იყო მარცხნიშვილის მიმდევარის მიმდე-  
ვარი, და კინოსტაციაზე ისე იყო მარცხნიშვილი, რომ კა-  
ლაკის გასები.



— ისა ირაკლი, ბარემ ის წიგნიც გად-  
მიღები, თევინოვის და სულ იმის საჭიროა!



— ბარემ უმა, ტევინ არება არება მისა-  
ნის კვალი და რა მიმდევარ?  
— მარცხნიშვილის მიმდევარი ისე სისტემაზე დატენდი-  
რებული იყო მარცხნიშვილის მიმდე-  
ვარი, და კინოსტაციაზე ისე იყო მარცხნიშვილი, რომ კა-  
ლაკის გასები.



# ქართული ჭირი

ეროვნული  
გიგანტი

დილის ხუთი საათია. ქუჩებში საოცარი სიჩუმეა. ხანდახან თუ გაიქროლებს შსუბუქი აფტომანქანა, თორემ, ისე მყუდროებას არაფერი არსევს. ალაგალაგ მაღაზიების წინ თვლემენ ღამის ყარაულები.

მოულოდნელად პროსპექტზე გამოჩნდა ორი მამაკაცი. ორთავეს ღრდავ ბანდალზე ეტყობოდა, რომ ისინი ქეითიდან ბრუნდებოდნენ. ერთი მათგანი, საოცარი მაღალი და ხმელი, წამდაშუშმ იქითა-ქეთ იფურთხება და ხანდახან ღილინსაც კი ცდილობს. მეორე კი დაბალი ტანისაა და ნამდვილ რუმბას ჰყავს. პირვენიდათ გამარსულს სახე სავე მოვარეს უგავს და ამ სახეზე არ ცილდება რაღაც გულუბრყვილო, სულელური ღიმილი.

— რა სუფრა იყო,— ამბობს ხმელი მამაკაცი და ამ ღროს ამჩნევს საფურთხებელ ურნას, — რა სისულელეა... რად უნდათ, ეს რომ დაუდგამთ. არავინ ამით არ სარგებლობს... ყველა იფურთხება იქ, სადაც მას სურს. რას იტყვი, მაისეი ტარხანის, ტყუილს ვამბობ? რად ჭირდება, თბილისის საბჭო ამდენ ხარჯებს რომ ეწევა. ათასზე მეტი ხომ უნდა დადგან ასეთი ურნა ქალაქში. მერე რისთვის? მე შენ გეკითხები, რისთვის?

რუმბივით მამაკაცი სივრცეში იცირება და კვლავ სულელურად ღიმიება. ხმელი კი განაგრძობს:

— ამ, რა სუფრა იყო. მაგრამ რა უცნაური ხალხი ვართ ეს ქართველები. ყველაფერი ჰქონდა ჩერნის მასინძლებს—საუზმე. საცივი, გოჭი, ინდაური, და, მწვანილი კი დავიწყნოდათ. ვანა შეიძლება ქართული სუფრა უმწვანილოდ? რას ჰყავს ეს? სულ რაღაც ღრიოდე მანეთის მწვანილი. წიწმატი და ტარხუნი. ტყუილს ვამბობ, მოისეი ტარ... ტარხუნი? უკაცრავად, ტარხანის. თუმცა, ეს როგორ გამომიყიდა! ტარხუნი! აა, ხახახა! ტარხუნი!— ამბობს ხმელი და თავის მეგობარს ეხვევა, ღილაბში ხელს ავლებს და ისე ექაჩება, თითქო ჯერ მორყევას და შემდეგ მოვლეჯას ლამიბდეს.

— აბა გითხრა ახლა მე შენ,— შედგა რუმბივით მამაკაცი, როდესაც მეგობარმა როგორც იქნა თავი ანება.— არაფერი სუფრა არ იყო. გოჭი! რას გაედა, დამხრებალი იყო, ალბათ, ამ ჭირიანი. შევი, შევი, ნაგაზიეთ და ქანზე იმდენი ჯაგარი ჰქონდა შერჩნილი, ერთი ნაჭერი რომ წამომელო სახლში, ჩიოქად გამომადგებოდა.

— ამ, დაგლახვროს ეშმაქა, რა მახვილი ენა გაქვს, ტარხუნის, — გადიხარხარა ხმელმა,— ძალიან გემრიელად კი ახრამუნებდი ძვლებიანიდ! გოჭი მართლა ნაკლები იყო.

— საცივი! ის კიდევ უკეთესი. უკაცრავად პასუხია... ან ამისთანა უჯიშო ინდაური სად იშვევს, ხანჯლებივით ძელები ამოდიოდა ხორცში. ფური, მავათ ჟურ-მარილს დავასხი თავსლაფი. შემწვარი! სად მოძებნეს მაინც ამდენი დამხრებალი ფრინველი.

— ხოხები განა არ ვარგოდა?

— თხი, თხი, თხი!— გესლიანად ჩიახითხითა სქელმა.— ხოხები! აგრე რეზინის კალოშებასაც შეიძლება ხოხები დაარქვა და სუფრაზე დააწყო. ერთი ათიოდე ნაჭერი მაინც გადმოვილე და ვერც ერთს ამ ნეკის რდენა ვერაფერი დავაკელი.

— ღვანის არა უშავდა რა!

— ეგ როცა შევეჩიეთ, ხუთი თუ ექვსი ჭიქის შემდეგ. პირველად რომ მოსხი, მე ვთქვი, ხომ არ შევშალათ და ძმარი მარტო მე ხომ არ მომიტანეს-მეთქი. თურმე რის ძმარი, მისი ჭიქით ქინძმარაულს მასმევს კაცი. კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, ნულარ მაგონებ, ძლივს დავალწიეთ იქაურობას თავი და ამ სუფთა პარზე გამოვედით.

— არა, მართლა თავის, მოქრაა ასეთი პურ-მარილით დახვდე ასეთ საზოგადოებას...

— საზოგადოებას! რას უწოდებ ბიჭო, შენ საზოგადოებას,— გაცხარდა სქელმი,— სად იყო საზოგადოება! შენ თუ ქსენოფონტ ქსენოფონტოვის თვლი საზოგადოებად, მერე რა რომ ტრესტის დირექტორია. მაგ ცხრაჯერაა მოხსნილი სხვადასხვა თანამდებობიდან.

— არა, მოხსნილი რადა. მე არ ვამიგონია, რომ ეგ ღდესმე მოეხსნათ.

— რას მელაბარაკები. შენ რომ არ ვაგივონია, მერე რა კორზი რომ მშებამბდა...

— იქიდა ზუგდიდში გადაიყვანეს.

— რას ლაპარაკობ!— თითო ისე გაიქნია სქელმა, თითქო ზედ

რეოლი ჰქონდა წამოცემული და ათამაშებდა,— რას ლაპარაკობ. მე დანამდვილებით ვიცი, რომ მოხსნეს. ზუგდიდში მოწყობი, მაგრამ მერე იქაც მოხსნეს.

— თუ დაწინაურებს?

— კაცი, მე გეუბნები მოხსნეს, და, თვითონ თუ უკეთესი ადგილი იშოვნა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ მოუხსნიათ.

— მართლა ამბობდ?

— რა მაქვს მოსატყუარი. ქირას მაძლევ თუ რას? ახლა იჯდა იქ გადამრინჯული და ისე ეჭირია თავი. გეგონებოდა ქვევია მისი იყო. სწორი რომ მომ თქვას კაცმა, მაგასთან არც ვიკადრებ დაჯდომას.

— ივლიან ბიჭიები?

— ჰო, იტყვი პრაფექსორია. რაში მიიღო პროფესორობა, აბა თუ შეტყოფი? სამ ბატის არ მიაბარებ მაგას. ჯერ ერთი, ვერ დააკვირდო, ჰალსტუხი როგორ ჰქონდა გამოსკვნილი. ქალი უჯდა მერე გვერდით ისეთი, რომ მშესავით ანათებდა. სად მოძებნა გაინც იმ უბედურმა ისეთი ფეხხუმი.

— ის ხომ მისი ცოლი არ იყო.

— რას ლაპარაკობ, შენ მასწავლი ახლა მე ვინ ვისი ცოლი იყო?

— არა კაცი, ის ჩემი რძალია.

— ოქ, ამა უკაცრავად. შემშლია. ის რა გვარი იყო, ლექსური რომ გვიყითხა და გვიყითხა?

— ის ხომ ცნობილი პოეტია.

— რა გვარია?

— გვარი არ ვიცი. მაგრამ ფსევდონიმი ვიცი: აბოლონ... აბოლონ... ალარ მახსოვს მარტყოფელი თუ ოქრიბელი... გამას-სენდა მანქაბერდელი!

— რა იყო, რა გვიყითხა. არ შეგვიკლა ხელში! წაგვამა უკრები.

— ტაშის ძალიან უტყაპუნებდი.

— აბა, იმას ვათქმებინებდი პოეზია არ ესმისო! მაგნი, ძმაო, ხომ იცი, ტაში თუ არ დაუკარი, საქვენოდ მოგვრიან თავს. მერე ხელებიან მგონია მაგ ლუბერები, რომ მაგათი შიგნების შამკით-ხელები ჩერნ არა ვართ და ასე ხანდახან თუ ჩავიგდეს ხელში სიქას გაგვალინ ხოლმე.

— მომღერალი არ მოგეწონა?

— რომელი? სად იყო იქ მომღერალი?

— როგორ თუ სად იყო. კაცი რძერის სოლისტია, დამსახურებული არტისტი...

— ვინ? ჩერნი კიუშა? ბიჭო, ის თუ მომღერალია, მე ვინდა ვარ მაშინ! მასავალებინერს მაგ ვერ იტყვის სუფრაზე და პატრიაში რაღაცას მღერის მაგ მე რა ვიცი. ერთის სიტყვით, შენ რომ გვინია, ჩემი გლახუნი, საზოგადოებაში ვიქეიფე. ტყუილად ხარ ალ-ტაცბული.

— მასპინძლებები მანც რაღაც იტყვი?

— ეგ რაღა გამახსენები, — შედგა სქელმი და ისეთი სახე მიიღო. თითქო მისთვის პირში საოცარი და ეჭირი ტყუმების ტყულადი ჩა-ტერაზი. ერთი, — ეგ რაღაზე გამახსენები, შე ულმერთო. პირდაბირ თავს გვერდის ქართველიანს, ცოლიც და ქმარიც. პატიოსან სახლში არ შეიცვება არც ერთი, არც მეორე. ბიჭო, იმისთანა ქართველ კაცს და-ვასხი თავსლაფი, რომელიც... მარა დამანებებ თავი. რაზე გინდა ახლა მათქმევინო ის, რაც ჩემზე უკეთ შენ თვითონ კარგად იცი.

— რავა?

— იქ, ვათომ არ იცი.

— კისრულებს?

— შე კაც! გუჯუ აშორდია მეორე ქმრად თვითონ მოგვარი ცოლს სახლში, დავასხი მაგას თავსლაფი. კაცია მაგ?

— არა, მართლა შეჩერდნენ. ბურთივით მრგვალი მამაკაცი ერთ წუთს შედგა და ხითხითი აუტყდა.

— რა იყო? — ეკითხება ხმელი.

— ჰო, ჰო, არ ჩერნისთანა ციგანი სახლში შესაშები. — ამბობს ხმელი და მერე გაბმულად იწყებს გულამოსკვნილ სიმღერის: — მიყვალიარ, ჭურუმეე...

— თენდება. ორივენი ბანდალით მიაბიჯებენ და მათი ხმები მო-სახვევში იკარგება.

რაიტი

საქართველო  
ლექციები

ბათუმი, რეინიგზელების

ცელს მაინც გამოგეწვალოთ ცარცერები: «ციხის-დძირი», «მობოკვატი», «ჩოლოხი», «ჩაკვა».

საქონდიტერის, სარეწაო საბჭოს არტელების

გიგზავნით ყინვარ-შაქარს, თუ ვერ იცნოთ რა არის, თქვენს გეგმებს გადახედეთ.

აბანოებისა და საპარიკმახეროების ტრესტი, ბათუმიშვილს მრავალ ახალწელს დაესწარი, ბებია გიცოცხლოს.

თბილისის საბჭოს საბინაო განყოფილებას

გიგზავნით ათას კედრატულ მეტრ დაბირებას. თქვენ იცით, როგორ გაანაწილებთ.

მთავარტელეგრაფს

ხვალ ვანოს ქორწილია, ზეგ ვასაფლავებთ, რა გენალგლებათ.

საქაფოორანსს

მოვდიოდი მოსალოცად, საბურავი დამეშვა.

№ 1 სამშენებლო ტრესტის მმართველს

აზ. ალ. ჩიტაიშვილს

ქართველი მწერლების სახელით გილოცავ არალ, თქვენთვის 1955 წელს.



### ღორგების ფერაში

რას გავს თქვენი ღორები, ქონის ნატამალი არ გააჩნიათ. არაფერს აქმეთ?

— რა ვიცი, ბატონო, ამასწინანდელმა რევიზიამ სუფრაზე გვისაყველურა: მეტისმეტად გავისუქებიათ, დვინოზე არ გარდაო, და ჩვენც ალარ ვასუქებთ.

## ერკანების დილივრაციანი



ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით მკითხველები გვთხოვენ მოვასმენინოთ შემდეგი სიმღერები:

1) საქურორტმომარაგების თანამშრომელთა დაკვეთით: «ახ, ნეტავი ერთად იყოს თბილისი და წალგერი».

2) არტელ «განიაგების» თანამშრომელთა დაკვეთით: «ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს...»

3) ხალხური ცეკვების ანსამბლის ხელმძღვანელის დაკვეთით: «ჩემთან ასულო, ჩემთან ლამაზო, ჩემთან იცეკვე».

4) დამწყებ ასტრონომთა დაკვეთით: «ახ, მთვარევ, მთვარევ, დამწყართ იმედო...»


5) მილიციის მუშაკთა დაკვეთით: «მე ბანი-ბანად გეძებდი, შენ ბალი-ბალჩად გეძინა».

6) კოსმეტიკის კაბინეტის თანამშრომელთა დაკვეთით: «წამწამსა და წამწამს შუა ბალი გაგიშენებია».

7) თბილისის «დინამოს» ფეხბურთელთა დაკვეთით: «რა დაგიშავე, რისთვის დამტოვე მე... («ა» კლასში)».

8) რესტორნების რევიზორთა დაკვეთით: «შენ რაღას ფიქრობ «არაგვო», «დამისხი, დამალევინე».

9) ერთი პატივმოყვარე ასტრონომის დაკვეთით: «ჩემი ვარსკევლავი უფრო ანათებს...»



რემა ა. თაყაიშვილისა

ნახ. ა. კანდელაკისა

სარედაქციო კოლეგია: ა. ბერიაშვილი, მ. გიგინეშვილი,  
3. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაზალიშვილი, გ. ჯაში.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის ჭრობა, № 42, ტელ. 3-10-49.

თბი

მატარებელი № 1955 ოზი  
წუთის შემდეგ გავა პირველ  
ლიანდავილან. ბაქნის კონტრა-  
ლიონები, გაატარეთ მგზავრები!  
ვიშეორებ...



შეცდომები აჩქიცექორებისა. წარუმატებლობა სპორტსმენებისა, უგემოვნება კინოსტუდიის ფილმებისა, „უპასუასმიგებლობა“ თბილისის ქუჩების საათებისა. ხალფურა ავტომანქანების შოუ-აქციისა. სპეკულაცია და საერთოდ, ყოველგვარი ნაკლა და სიმანჯვე უბილეობდ მიძყვება ძველი წლის მატარებელს. ამანავი ჩეკიშორებო. ას დააჯარიმოთ მგზავრები. და მოგვშორდნენ!